



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თბილისის თამბაქო“

„თბილისის თამბაქო“ (სააქციო საზოგადოება), თამბაქოს მრეწველობის ერთ-ერთი წამყვანი საწარმო საქართველოში. დაარსდა 1998 თბილისში შპს „თამკოს“ ბაზაზე სახელწოდებით შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოება“ (GTM). 2011-იდან კომპანიამ რეორგანიზაციის შედეგად შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და ჩამოყალიბდა როგორც სააქციო საზ-ბა „თ. თ.“ 1998-2000 საწარმოში ჩატარდა სამშ.-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, დამონტაჟდა უცხ. წარმოების თამბაქოს გადამმუშავებელი და სიგარეტის მწარმოებელი მანქანა-დანადგარები. კომპანიის საწარმოო სიმძლავრეა 100 მლნ. ლერი სიგარეტი თვეში (31. XII. 2013 მონაცემებით). უშვებს მყარი შეფუთვის როგორც ფილტრიან, ისე უფილტრო სიგარეტს შემდეგი სასაქონლო ნიშნით: „პირველი ინტერნაციონალი“, „პირველი პრემიუმი“, „პირველი ნანო“, „პირველი სლიმი“, „მზე“ (უფილტრო), „სტარი“ (უფილტრო). მსოფლიოს წამყვანი მომწოდებლებისაგან შემოდის წარმოებისათვის საჭირო ნედლეული – უმაღლ. ხარისხის თამბაქოს ფოთლები (ბრაზილია, ვიეტნამი, ინდოეთი, ფილიპინები, ჩინეთი, ხორვატია და სხვ.) და დამხმარე მასალები (ავსტრია, ბულგარეთი, გერმანია, თურქეთი, იტალია და სხვ.). პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე სადისტრიბუციო ქსელის მეშვეობით. „თ. თ.-ს“ ურთიერთობა აქვს თამბაქოს მწარმოებელ მრავალ უცხ. კომპანიასთან.
